

„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/04. 08.02.2019
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
ოქმი № 02-04-06/01. 02.02.2019 წ

**საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი**

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

**ბიზნესის ადმინისტრირება
Business Administration**

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი:
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები:
პროფესორი - ედვარდ მიქელაძე
ასისტენტი - სონია ჩეჩელაშვილი

1. პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება

2. განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

3. კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

4. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, სადაც 190 კრედიტი ძირითადი სასწავლო კურსებია, მათ შორის 10 კრედიტი სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, ხოლო 5 კრედიტი - საწარმოო პრაქტიკას ეთმობა. 35 კრედიტი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებია, ხოლო 15 ECTS კრედიტი - სპეციალობის არჩევითი საგნები.

ითითებული ECTS კრედიტი ითვალისწინებს 40%-ს საკონტაქტო სახის სწავლების, ხოლო 60%-ს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის სახით. საკონტაქტო სწავლება მიმდინარეობს რვა სემესტრის განმავლობაში, სემესტრში 16 სასწავლო კვირის ხანგრძლივობით (მე-9 კვირა ეთმობა საშუალოდ შეფასებებს). სამეცნიერო-კვლევით კომპონენტსა და პრაქტიკას სტუდენტი ასრულებს სწავლების მერვე სემესტრში

5. სწავლების ენა: პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე

6. საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მიზანი:

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადების აქტუალობა განპირობებულია შერეული, მრავალწიგობიანი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური ინსტიტუტებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბების შეუქცევადი ხასიათით. მეწარმე სუბიექტების სხვადასხვა დონის მენეჯერებსა და ბიზნესმენებს, როგორც წესი, არსებული საბაზრო გარემოს შესწავლა უხდებათ, იმისათვის, რომ რეალურ გარემოში მათი მმართველობითი გადაწყვეტილებები ეფექტიანი შედეგის მომტანი იყოს. ამ შემთხვევაში უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნეს-სტრუქტურების მართვის სფეროს მოწესრიგებისათვის ფინანსების სხვადასხვა დარგების, კრედიტისა და საბანკო საქმის, დაზღვევის, აღრიცხვის, აუდიტის, მენეჯმენტის, მარკეტინგის ინსტრუმენტთა ცოდნას და გამოყენებას.

საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა განპირობებულია აგრეთვე, ცალკეული ეკონომიკური აგენტების მართვისა თუ სხვადასხვა სფეროში ბიზნესის წარმართვისათვის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მოწესრიგებული საფინანსო და საგადასახადო საკითხების მართვის აუცილებლობით, რაც თავის მხრივ დადასტურებულია შრომის ბაზრის მონაცემების საფუძველზეც, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მიმართულების პროფესიებზე მოთხოვნა შენარჩუნებულია ეკონომიკის კრიზისულ პერიოდებშიც. ამიტომ, მითითებული აქტუალობიდან გამომდინარე, „ბიზნესის ადმინისტრირების“ - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კერძო სამართლის იურიდიული

პირებისათვის მართვის სპეციალისტების მომზადება ბიზნესის გაძლიერებისა და ადმინისტრირებისათვის აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ისიც ცნობილია, რომ ფინანსური რეგულირების რისკების წარმოშობის პირობას წარმოადგენს ფინანსური არასტაბილურობა, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ინტერვენციების მოლოდინი, სპეკულაციური ზეწოლა სარგებლის მისაღებად და ა.შ. ამ საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობს ყველა აგენტი, სახელმწიფო, ბიზნეს-სამყარო, სამოქალაქო საზოგადოება. თითოეულ მათგანს საკუთარი ინტერესი გააჩნია, რომელთა ძირითადი მისწრაფებაა ფულადი შემოსავლების სტაბილურობისა და გაზრდისაკენ სვლა, რასაც სჭირდება მართვა, შესაბამისად, გაჩნდა და ყოველდღიურად იზრდება ბიზნესის სფეროსათვის და ფინანსური ეკონომიკისათვის კვალიფიციური მენეჯერების, მარკეტოლოგების, ფინანსური ანალიტიკოსების მომზადების მოთხოვნა, რომელთა ცოდნითა და უნარ-ჩვევებითაც უნდა დარეგულირდეს ნებისმიერი ბიზნეს-პრობლემა.

შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის მიზანი განისაზღვრება ისეთი სპეციალისტების მომზადებით, რომლებსაც:

- ექნებათ თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციები დარგში. იქნებიან კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის მატარებელი პიროვნებები,
- ექნებათ გააზრებული მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის შინაარსობრივი მახასიათებლები და მათი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა დარგში,
- ექნებათ თანამედროვე სამეწარმეო სუბიექტების და მათი ორგანიზაციული ქვედანაყოფების ეფექტიანი ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსის მართვის და ადმინისტრირების უნარები;
- ექნებათ თეორიული ცოდნა საწარმოთა ჩამოყალიბების იურიდიულ-სამართლებრივ საკითხებზე;
- აღჭურვილნი იქნებიან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევებით.

პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც გულისხმობს მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან და ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი და შესაბამისი სულიერი და ეროვნული ღირებულებების მქონე სპეციალისტის აღზრდას.

7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის და „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით.

8. სწავლების ფორმატი: სწავლა წარიმართება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკულების ფორმატით.

9. სწავლის შედეგები

ბაკალავრიატის სწავლის შედეგები	
კრიტერიუმები	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	<p>აქვს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თეორიული ცოდნა: ეკონომიკის ძირითადი კანონზომიერებების; მნიშვნელოვანი მიკროეკონომიკური მაჩვენებლების გამოთვლის; ბიზნეს-ურთიერთობების; მენეჯერული უნარების; სტატისტიკის თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობითა და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით, ბიზნესის ანალიზის შესახებ. 2. სათანადო ტერმინოლოგიის ცოდნა, რომელიც უადვილებს ბიზნესისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გაგებას. <p>აცნობიერებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ურთიერთკავშირს ბიზნესს, ფინანსებს, კრედიტს, დაზღვევას, მენეჯმენტს, მარკეტინგს, აღრიცხვას, მართვის საკომუნიკაციო, საინფორმაციო-ტექნოლოგიებსა და მათემატიკურ პროგრამირებას შორის.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>გააჩნია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბიზნესთან დაკავშირებული დოკუმენტების ინტერპრეტაციის, ფინანსური ინფორმაციის თავმოყრის, ანალიზის, პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის, სასაქონლო მარაგების ოპტიმალური მოცულობის დაგეგმვის უმარტივესი მეთოდების გამოყენების, ასევე, საბუღალტრო და ფინანსურ აღრიცხვაზე დაყრდნობით, ფირმის ბიუჯეტისა და ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის უნარები თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. 2. კვლევითი სამუშაოს შესრულების უნარი წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების და/ან ინსტრუქციების მიხედვით.
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ფირმის ბიზნესსაქმიანობისა და შესაძლებლობების, ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისა და ფინანსური ანგარიშგების ანალიზი. 2. ბიზნესის სფეროში ანალოგიების მოძიებისა და გამოყენების, არსებული პრობლემებისა და საწარმოს საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შეუძლია მონაწილეობა დისკუსიაში ეკონომიკისა და ბიზნესის შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან; 2. რეფერატული სახის შრომის მომზადება; საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნესის ტერმინოლოგიის გამოყენებით; კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. 3. თანამედროვე-საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ანალიზური ინფორმაციის მომზადება და გადაცემა.
სწავლის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მიღებული ცოდნის დახმარებით ბიზნესის, ეკონომიკური და სხვა დარგობრივი ლიტერატურის, ასევე სხვა წყაროების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის დამოუკიდებლად გააზრება და შესწავლა, 2. ბიზნესის ამა თუ იმ დარგში საკუთარი ცოდნის საჭიროების განსაზღვრა და სასწავლო პროცესის დამოკიდებლად ორგანიზება.

ლირებულ ბები	<p>1. აცნობიერებს კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულების აუცილებლობას, რაც ხელს უწყობს მოქალაქეობრივი კულტურის ფორმირებას,</p> <p>2. შეძლებს სოციალურად მნიშვნელოვანი ბიზნეს-პრობლემების გაგებას, მისი გადაჭრის პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.</p>
--------------	--

10. სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები

პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

1. **დისკუსია** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, როგორც წერიითი, ასევე ზეპირი ფორმით.

3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს სტუდენტის წიგნზე მუშაობას.

4. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

5. **დემონსტრირების მეთოდი** – ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია მასალა მულტიმედიური მეთოდით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შეძლება განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. შესაძლებელია მასალის ელექტრონული გზით მიწოდება.

6. **პრაქტიკული მეთოდები**–აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, სტუდენტი შეძენილი ცოდნისა და პროფესორის კონსულტაციის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობებს, როგორცაა სხვადასხვა პროგრამების, პრეზენტაციის მომზადება, სტატისტიკური დაკვირვების ჩატარება, ანალიზური ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და ა.შ.

7. ინდუქცია, დედუქცია

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

9. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** –ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

10. ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი – გულისხმობს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

11. ვერბალური მეთოდი ანუ ზეპირი მეთოდი

12. სიტუაციის მოდელირების მეთოდი.

13. წიგნზე მუშაობის მეთოდი

14. წერიტი მუშაობის მეთოდი

11. სტუდენტის შეფასების სისტემა

1. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

2. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობის, სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.

3. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.

4. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერიტი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს, სტუდენტის შეფასება ხდება შეფასების რამდენიმე კომპონენტის გამოყენებით, რომლებიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

5. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით. მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერიტი ანდა ზეპირი ფორმით, გარდა წერიტი და ზეპირი შეფასებისა. კურსის საჭიროების შესაბამისად შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.

6. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:
ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერიტი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით; ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.

7. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა.

8. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

9. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:

დადებითი შეფასებები:

ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;

ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;

გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;

დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;

ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

1. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
2. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
3. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-40 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომი არის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სხვა სასწავლო კურსების ტოლფასი კვლევითი კომპონენტი. იგი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა, გადმოცემის უნარი – 15 ქულა, სიახლე – 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა). საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

სასწავლო გეგმის სტრუქტურა

სასწავლო გეგმა																
№	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება							კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით					
				ლექცია	პრაქტიკული/პრაქტიკა	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი
	სპეციალობის ძირითადი საგნები	190														
1	ეკონომიქსი I	5	125	15		27	1	2	80	5						
2	უმალესი მათემატიკა ეკონომისტებისათვის	5	125	15		27	1	2	80	5						
3	სამართლის საფუძვლები	5	125	15		25	2	3	80	5						
4	ეკონომიქსი II	5	125	15		27	1	2	80		5					
5	ბიზნესის საფუძვლები	5	125	15		27	1	2	80		5					
6	მართვის სოციოლოგია	2	50	15		15	1	2	17		2					

7	ალბათობის თეორია	3	75	12		15	1	2	45		3					
8	მარკეტინგის საფუძვლები	5	125	15		27	1	2	80		5					
9	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15		27	1	2	80			5				
10	მარკეტინგის მენეჯმენტი	5	125	15		27	1	2	80			5				
11	ფინანსები და საბანკო საქმე	5	125	15		27	1	2	80			5				
12	სტატისტიკის თეორია	5	125	15		27	1	2	80			5				
13	ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება ბიზნესში	5	125	15		27	1	2	80			5				
14	სადაზღვევო საქმე	5	125	15		27	1	2	80				5			
15	ბიზნესის სტატისტიკა	5	125	15		27	1	2	80				5			
16	ოპერაციათა მენეჯმენტი	5	125	15		27	1	2	80				5			
17	ბუღალტრული აღრიცხვის თეორია	5	125	15		27	1	2	80				5			
18	საერთაშორისო ბიზნესი	5	125	15		27	1	2	80					5		
19	ფინანსური აღრიცხვა	5	125	15		27	1	2	80					5		
20	HR-ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5	125	15		27	1	2	80					5		
21	ბიზნესის PR ტექნოლოგიები	5	125	15		27	1	2	80					5		
22	ბიზნესის სამართალი	5	125	15		27	1	2	80					5		
23	საგადასახადო საქმე	5	125	15		27	1	2	80						5	
24	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	15		27	1	2	80						5	
25	მენეჯერული აღრიცხვა	5	125	15		27	1	2	80						5	
26	ინვესტიციების საფუძვლები	5	125	15		27	1	2	80						5	
27	რისკების მენეჯმენტი	5	125	15		27	1	2	80						5	
28	საბაჟო საქმე	5	125	15		27	1	2	80							5
29	სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა	5	125	15		27	1	2	80							5
30	დროის მენეჯმენტი	5	125	15		27	1	2	80							5
31	ინფორმაციული ტექნოლოგიური პროგრამა „ორისი“	5	125			42	1	2	80							5

32	სტრატეგიული მენეჯმენტი	5	125	15		27	1	2	80								5	
33	ტურიზმის მენეჯმენტი	5	125	15		27	1	2	80								5	
34	ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საფონდო ბირჟა	5	125	15		27	1	2	80									5
35	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში	5	125	15		27	1	2	80									5
36	საწარმოო პრაქტიკა	10	250	10	230				10									10
37	საბაკალავრო ნაშრომი	10	250							250								10
38	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	15											5	5	5			
38/1	მცირე ბიზნესის მენეჯმენტი	5	125	15		27	1	2	80									
38/2	ლოჯისტიკა	5	125	15		27	1	2	80									
38/3	პროექტების მართვა	5	125	15		27	1	2	80									
38/4	ეკონომიკური კულტურა და საქმიანი ეტიკეტი	5	125	15		27	1	2	80									
38/5	საერთაშორისო საკრედიტო,საფინანსო და სავალუტო ურთიერთობები	5	125	15		27	1	2	80									
38/6	ფორმის ეკონომიკა	5	125	15		27	1	2	80									
38/7	მსოფლიო ეკონომიკა	5	125	15		27	1	2	80									
38/8	ეკონომიკური ანალიზი	5	125	15		27	1	2	80									
38/9	აღრიცხვა და კონტროლი კომერციულ ბანკებში	5	125	15		27	1	2	80									
39	საუნივერსიტეტო საგნები	35																
39/1	აკადემიური წერა	3	75	5		21	2	2	45	3								
39/2	ფსიქოლოგია	2	50	14		3	1	2	30	2								
39/3	საქართველოს ისტორია	3	75	15		8	4	3	45	3								
39/4	ფილოსოფია	2	50	15		15	1	2	17	2								
39/5	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	125	15		25	2	3	80		5							
39/6	ინგლისური ენა	20																
	უცხო ენა A1 I	5	125		40		2	3	80	5								
	უცხო ენა A2 II	5	125		40		2	3	80		5							

უცხო ენა B1 III	5	125		40		2	3	80			5				
უცხო ენა B2 IV	5	125		40		2	3	80			5				
სულ ჯამი	240								30	30	30	30	30	30	30

შენიშვნა ინგლისური ენის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით

ინგლისური ენის სწავლება მოიცავს სულ 20 კრედიტს. ინგლისური ენის სწავლება ხდება სტუდენტთა ცოდნის დონის მიხედვით შემდეგი სქემის შესაბამისად:

1. ნულოვანი დონის სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-1 საფეხურით და აგრძელებენ A-2 დონით თანმიმდევრულად.
2. საბაზო დონის მქონე სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-2 დონით და აგრძელებენ B-1 დონეს თანმიმდევრულად.

სწავლის შედეგების რუქა								
№	კომპონენტები	პრედიქციის რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	სპეციალობის ძირითადი საგნები	185						
1	სამართლის საფუძვლები	5	+	+	+		+	+
2	ეკონომიქსი I	5	+	+	+	+	+	
3	უმაღლესი მათემატიკა ეკონომისტებისათვის	5	+	+	+	+	+	+
4	ეკონომიქსი II	5	+	+	+	+	+	+
5	ბიზნესის საფუძვლები	5	+	+	+	+	+	+
6	მართვის სოციოლოგია	5	+	+	+	+	+	+
7	ალბათობის თეორია	5	+	+	+	+	+	
8	მარკეტინგის საფუძვლები	5	+	+	+	+	+	+
9	მენეჯმენტის საფუძვლები	5	+	+	+	+	+	+
10	მარკეტინგის მენეჯმენტი	5	+	+	+	+	+	+
11	ფინანსები და საბანკო საქმე	5	+	+	+	+	+	+
12	სტატისტიკის თეორია	5	+	+	+	+		
13	ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება ბიზნესში	5	+	+	+	+	+	
14	სადაზღვევო საქმე	5	+	+	+	+	+	+
15	ბიზნესის სტატისტიკა	5	+	+	+	+	+	+
16	ოპერაციათა მენეჯმენტი	5	+	+	+	+	+	+
17	ბუღალტრული აღრიცხვის თეორია	5	+	+	+	+	+	+
18	საერთაშორისო ბიზნესი	5	+	+	+	+	+	+
19	ფინანსური აღრიცხვა	5	+	+	+	+	+	+
20	HR-ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5	+	+	+	+	+	+
21	ბიზნესის PR ტექნოლოგიები	5	+	+	+	+	+	+
22	ბიზნესის სამართალი	5	+	+	+	+	+	
23	საგადასახადო საქმე	5	+	+	+	+	+	+
24	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	5	+	+	+	+	+	+
25	მენეჯერული აღრიცხვა	5	+	+	+	+	+	+
26	ინვესტიციების საფუძვლები	5	+	+	+	+	+	+
27	რისკების მენეჯმენტი	5	+	+	+	+	+	+
28	საბაჟო საქმე	5	+	+	+	+	+	
29	სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა	5	+	+	+	+	+	+
30	დროის მენეჯმენტი	5	+	+	+	+	+	+
31	ინფორმაციული ტექნოლოგიური პროგრამა „ორისი“	5	+	+	+	+		
32	სტრატეგიული მენეჯმენტი	5	+	+	+	+	+	+

33	ტურიზმის მენეჯმენტი	5	+	+	+	+	+	+
34	ფსიქოლოგიის ქალაქების ბაზარი და საფონდო ბირჟა	10	+	+	+	+	+	+
35	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში	5	+	+	+	+	+	+
36	საწარმოო პრაქტიკა	5	+	+	+	+	+	+
37	საბაკალავრო ნაშრომი	10	+	+	+	+	+	+
38	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	15						
38/1	მცირე ბიზნესის მენეჯმენტი	5	+	+	+	+	+	+
38/2	ლოჯისტიკა	5	+	+	+	+	+	+
38/3	პროექტების მართვა	5	+	+	+	+	+	+
38/4	ეკონომიკური კულტურა და საქმიანი ეტიკეტი	5	+	+	+	+	+	+
38/5	საერთაშორისო საკრედიტო, საფინანსო და სავალუტო ურთიერთობები	5	+	+	+	+	+	+
38/6	ფირმის ეკონომიკა	5	+	+	+	+	+	+
38/7	მსოფლიო ეკონომიკა	5	+	+	+	+	+	+
38/8	ეკონომიკური ანალიზი	5	+	+	+	+	+	+
38/9	აღრიცხვა და კონტროლი კომერციულ ბანკებში	5	+	+	+	+	+	+
39	საუნივერსიტეტო საგნები	40						
39/1	აკადემიური წერა	3	+	+	+	+	+	
39/2	ფსიქოლოგია	2	+	+	+			
39/3	საქართველოს ისტორია	3	+	+	+	+	+	+
39/4	ფილოსოფია	2	+	+	+	+	+	+
39/5	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	+	+	+	+	+	+
39/6	ინგლისური ენა	20						
	უცხო ენა A1 I		+	+	+	+	+	+
	უცხო ენა A2 II		+	+	+	+	+	+
	უცხო ენა B1 III		+	+	+	+	+	+
	უცხო ენა B2 IV		+	+	+	+	+	+
	სულ ჯამი:	240						

12. პროგრამის ადამიანური რესურსი

1. **ედვარდ მიქელაძე** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი (საერთაშორისო ბიზნესი, ბიზნესის PR ტექნოლოგიები, დროის მენეჯმენტი, ინვენსტიციების საფუძვლები, ლოჯისტიკა, მარკეტინგის მენეჯმენტი, მარკეტინგის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციათა მენეჯმენტი, პროექტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, რისკების მენეჯმენტი)
2. **ლია ბერიძე** - ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, პროფესორი (აღრიცხვა და კონტროლი კომერციულ ბანკებში)
3. **ლევან გორგილაძე** - ბიზნესის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.
4. **სონია ჩეჩელაშვილი** - ეკონომიკის დოქტორანტი, ასისტენტი (ბუღალტრული აღრიცხვა თეორია, ფინანსური აღრიცხვა, მენეჯერული აღრიცხვა, ინფორმაციული ტექნოლოგიური პროგრამა „ორისი“, სტატისტიკის თეორია, ბიზნესის სტატისტიკა, ეკონომიკური ანალიზი)
5. **ლელა ჯახაია** - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (ეკონომიკის I, ეკონომიკის II, ბიზნესის საფუძვლები, ფინანსები და საბანკო საქმე, სადაზღვევო

საქმე, მსოფლიო ეკონომიკა, ბიზნესის საფუძვლები, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა)

6. **ჰამლეტ სანიკიძე** - ეკონომიკის დოქტორანტი, ასისტენტი (ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში, ტურიზმის მენეჯმენტი, ფირმის ეკონომიკა, HR-ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, საერთაშორისო საკრედიტო, საფინანსო და სავალუტო ურთიერთობები, მცირე ბიზნესის მენეჯმენტი, ეკონომიკური კულტურა და საქმიანი ეტიკეტი)
7. **გივი ჭუმბურიძე** - მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (ალბათობის თეორია, ეკ.პროცესების მათემატიკური მოდელირება ბიზნესში)
8. **სულიკო ფუტკარაძე** - ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, პროფესორი - საწარმოო პრაქტიკა
9. **ასიე ცინცაძე** - ბიზნესის აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი (საბაკალავრო ნაშრომები)
10. **რამინ ცინარიძე** - ბიზნესის აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი (საბაკალავრო საქმე, ბიზნესის სამართალი)
11. **გიორგი აბუსერიძე** - ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული ლექტორი (საგადასახადო საქმე)
12. **ლაშა ბერიძე** - ბიზნესის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საფონდო ბირჟა)
13. **ნინო ცინარიძე** - მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული ლექტორი (უმადლესი მათემატიკა ეკონომისტებისათვის)
14. **ივანე მუკუტაძე** - მათემატიკის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი (საოფისე კომპიუტერული პროგრამები)
15. **რაჟდენ ფუტკარაძე** - სამართლის დოქტორი, მოწვეული ლექტორი (სამართლის საფუძვლები)
16. **სულხან ალექსაია** - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველოს ისტორია)
17. **მედეა რიჟვაძე** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი (აკადემიური წერა)
18. **ნათელა ბერიძე** - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში, პროფესორი (ფილოსოფია, მართვის სოციოლოგია)
 19. **თეა ხინთიბიძე** - კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი (ფსიქოლოგია)
 20. **ლილი დოლიძე** - ინგლისური და გერმანული ენის მასწავლებელი. მოწვეული ლექტორი (უცხო ენა – ინგლისური A1 I, A2 II, B1 III, B2 IV დონე)

13. პროგრამის მატერიალური რესურსი:

პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აუდიტორიებში ლექციებისა და პრაქტიკულ-სემინარული სამუშაოების მაღალ დონეზე ჩატარებას, უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებას გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული კურსების შესწავლისათვის საჭირო ლიტერატურა, აგრეთვე ლიტერატურა მონათესავე დისციპლინებში.

არსებობს ელექტრონული სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. არსებობს სამეცნიერო ჟურნალების, სპეციალობის შესაბამისად სხვადასხვა ჟურნალების, ცალკეული სამეცნიერო სტატიის კოლექცია. არსებობს კომპიუტერული კლასი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ემსახურება მომხმარებელს. გარდა ამისა, სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ ლექტორ-მასწავლებლების მიერ შედგენილი მოკლე

საღეჭიო კურსებით როგორც ელექტრონული, ისე ქსერო ასლების ვერსიებით, რომელთა გავრცელებასაც უზრუნველყოფს თვით უნივერსიტეტი. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლების პირადი ბიბლიოთეკებით.

პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური კონტიგენტი: მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ყოველწლიურად 56 სტუდენტის მიღებას.

დასაქმების სფეროები: პროგრამის სრული კურსის დაუფლებით მომზადდება მაღალკვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს მატერიალური და ფინანსური რესურსების ანალიზს, მენეჯმენტსა და შესაბამისი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას. შეეძლებათ ჩაერთონ ბიზნეს-საქმიანობის პროცესში და დაიკავონ ქვედა და საშუალო რგოლების მენეჯერის, მარკეტოლოგის თანამდებობა, მათ შეეძლებათ აგრეთვე იმუშაონ ფინანსურ ანალიტიკოსად და ექსპერტად ბიზნეს-სტრუქტურებში. მათი საქმიანობა შეიძლება დაუკავშირდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ნებისმიერ სფეროს.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კერძო და სახელმწიფო კომპანიებში მენეჯერ-ანალიტიკოსის, ოფისის მენეჯერების ან ფინანსური მენეჯერების, სპეციალობით;
- ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საერთაშორისო ბიზნესით დაკავებულ ორგანიზაციებში საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერებად.